თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიამ ოხანაშვილი

მათემატიკის სწავლების ოპტიმალური ალგორითმების რეალიზების კომპიუტერული ტექნიკის კონცეპტუალური მოდელების ფორმირება

ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი
2018

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ინფორმატიკის და ფიზიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **სვიმონ ოხანაშვილი**

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები: **გურამ ჩაჩანიძე**

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

იბრაიმ დიდმანიძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

დაცვა შედგება 2018 წლის "_______" __________________, _______ საათზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე:
კორპუსი ______ აუდიტორია _________

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 350 27 24 01
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე : http://tesau.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი ______________
პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილი

ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა: დღეისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება და შესაძლებლობა ყოველ წუთს იცვლება და ვითარდება. დიდია მოთხოვნები კომპიუტერული პროგრამების შესწავლის და გამოყენების. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდ გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები საგანმანათლებლო პროცესში. მიუხედავად ასეთი მაჩვენებლისა, საქართველოს სკოლებში ჯერ-ჯერობით არ არის დაგეგმილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმების სწავლების კონცეფცია. რაც გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ მათემატიკური ამოცანების ალგორითმების დიდაქტიუკური მოდელი.

გაიზარდა მოთხოვნები კომპიუეტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე: პროგრამისტებზე, ქსელების ადმისტრატორებსა და ა.შ. იმისათვის, რომ მომავალმა სპეციალისტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ თანამედროვე ტექნიკის მართვის და გამოყენების წესები, აუცილებელია ისინი სკოლის ასაკიდანვე სწავლობდნენ როგორც კომპიუტერის გამოყენების წესებს, ასევე მისი სამუშაო პროგრამების შედგენისა და ამოცანების ამოხსნის ალგორითმებს. დღეს უკვე აღნიშნულ თემაზე მიმდინარეობს საუბარი საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში, სკოლებში ახალი საგნის - ალგორითმების და დაპროგრამირების ენების შემოღების შესახებ, რაც განაპირობებს ჩვენი თემის აქტუალობას.

კვლევის მიზანი: პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმების შედგენას და გამოყენებას.

კვლევის ობიექტი: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები.

კვლევის საგანი: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოებში საინტერესო და რთული ამოცანების ამოხსნის ალგორითმის შედგენა.

კვლევის ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ შემოთავაზებული მიდგომა შეიძლება გამოყენებული იყოს არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა საგნების საკითხების სწავლებისას.

კვლევის ამოცანები.

- მათემატიკის სწავლების ვირტუალური გარემოს კონცეპტუალური მოდელის შემუშავება;
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში თანამედროვე კომპიუტერული მეთოდების გამოყენებით მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმების შექმნა კონცეპტუალური მოდელის ფორმირებით, რომელიც დააკმაყოფილებს სკოლების მოთხოვნებს.
- რიცხვითი სისტემების ამოცაების ამოხსნის ალგორითმის პროგრამული კონვერტორების შექმნა

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებულია მათემატიკის ტრადიციული სწავლებისა და თანამედროვე კომპიუტერული სწავლების - ალოგორითმების შედგენისა და გამოყენების მეთოდები.

მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია:

- მათემატიკის ამოცანების სწავლების თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულობა და კავშირი;

- მათემატიკის ამოცანების ამოხსნის სწავლება ალგორითმის შედგენით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ახალი მიდგომების შემოღება მათემატიკის სწავლებისადმი, რომელშიც იგულისხმება ამოცანის ამოხსნის ალგორითმების შედგენა და მისი ჩაწერის კონცეპტუალური მოდელის შემუშავება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში მათემატიკის სწავლების პროცესში ამოცანათა ამოხსნის უდიდესი ნაწილის გადაწყვეტა ყველგან ტრადიციული მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობს. დისერტაციაში დამუშავებულია მათემატიკის სახელმძღვანელოებში არსებული რთული და საინტერესო ამოცანების ამოხსნის ალგორითმის შედგენის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც რეალიზებულია რამდენიმე ამოცანის ამოხსნის მაგალითზე.

შესწავლილია საჯარო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოებში არსებული თემატიკა და მათი შესაბამისი ამოცანების ამოხსნის მეთოდები და პრობლემები.

ფორმირებული და მეცნიერულად დასაბუთებულია ამოცანათა ამოხსნის ალგორითმების შედგენის დიდაქტიკური კონცეპცია და მისი საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მათემატიკის ამოცანების ამოხსნის სწავლების ალგორითმების კონცეპტუალური მოდელის შემუშავებაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათემატიკის სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების და ალგორითმული ენების დახმარებით შესაძლებელია ისეთი პროგრამული სისტემის შექმნა, რომელთა ეფექტური გამოყენება შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მათემატიკის მასწავლებლისათვის.

კვლევის თეორიულ-მეთოდურ საფუძვლებს წარმოადგენს: კომპიუტერულ და განათლების მეცნიერებებში მოღვაწე მეცნიერ-პედაგოგების, პროგრამისტების, დიდაქტიკოსებისა და ფსიქოლოგების ნაშრომები. სადაც განხილულია მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ალგორითმები და მათი რეალიზების კოდები, როგორც სასწავლო დიდაქტიკური სისტემის საფუძვლები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა დისერტაცია შედგება, შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და ლიტეატურისაგან. იგი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 122 გვერდს, 15 ცხრილს, 5 სურათს, 11 ნახაზს და 94 დასახელების ლიტერატურის ჩამონათვალს. დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებულია 8 ნაშრომი.
ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენიებული და განხილულია საერთაშორისო კონფერენციებზე (იხ. ნაშრომების სია).

თავი I
მათემატიკის სწავლების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

1.1. მათემატიკის სწავლების ზოგადი მიმოხილვა და სტრატეგიული მნიშვნელობა. ტერმინი მათემატიკა ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად „მეცნიერებას, ცოდნას, სწავლას“ ნიშნავს, ხოლო – მათემატიკოსი „სწავლის მოყვარულს“

ქვეყანას რიცხვები მართავენ, ამბობს პლატონი და არ შეიძლება რომ არ დაეთანხმო, რადგან ყველაფრის ზომას, ფორმას, რიტმსა და სიმეტრიას განსაზღვრავს რაღაც რიცხვი, რის გამოც სამყაროში ყოველი სიდიდე რიცხვით ან რიცხვთა

სისტემით გამოისახება, რომლებიც გამოთვლების, დაკვირვების ან გაზომვის შედეგად მიიღება.

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მედიცინაში, ეკონომიკაში, გარემოს დაცვასა და კეთილმოწყობაში, სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. აღსანიშნავია აგრეთვე მათემატიკის განსაკუთრებული როლი კაცობრიობის განვითარებასა და თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.

1.2. მათემატიკის ამოცანების ამოხსნის სწავლების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ XXI-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის საუკუნედ არის აღიარებული, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხდებით ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

მათემატიკის ამოცანის ამოხსნის სწავლების თეორიულ-პრაქტიკული ასპექტი წარმაოდგენს ტექნოლოგიური პროცესის რეალიზების თანმიმდევრულ პროცესს, რაც მათემატიკურ განათლებში თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოჩენის ძირეული საფუძველია.

მათემატიკის სწავლების ერთ-ერთ ძირითად მეთოდად ითვლება თანამედროვე ტექნოლოგიებით სწავლების მეთოდი. რომელის არსიც არის შემოქმედებითი აზროვნების შესწავლა. თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლების მეთოდში იგულისხმება მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმული მეთოდები და ხერხები, ასევე ამოცანების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის სიტუაციები რომლებიც ეხება სტანდარტულ და არასტანდარტულ ამოცანების ამოხსნის ალგორითმის შედგენას.

1.3. მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ანალიზი და მათი პრაქტიკული დანიშნულება. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებოლო საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოებში ამოვარჩიეთ სასწავლო თემები, რომლებიც მოითხოვს ამოცანის ამოსხნის ალგორითმის შედგენას. მართალია, სახელმძღვანელოში განხილული პრაქტიკულად ამოხსნილი ამოცანები მინიმალურ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს, მაგრამ დაინეტრესებული მოსწავლეები ამ თემატიკის ირგვლივ უფრო მეტს მოითხოვენ.

ცნობილია, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს მათემატიკის თეორიული მასალის სწავლა, ისინი ვერ ამტკიცებენ თეორემებს, არ იციან მათემატიკური ტერმინოლოგიის გამოყენება, მაგრამ ზოგჯერ ისინი კარგად ხსნიან პრაქტიკულ მაგალითებსა და ამოცანებს.

აუციებელია ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის კლასის მოსწავლეებმა მათემატიკის სახელმძღვანელოს გარდა გამოიყენონ დამხმარე ლიტერატურა და ინტერნეტ მათემატიკური სივრცე: ელ–წიგნები, მათემტიკური რედაქტორები, ენციკლოპედიები, ალგორითმები, აუდი–ვიდეო პროგრამები და სხვ.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა მოსწავლემ, მშობლებისა და მასწავლებლის დახმარების გარეშე დამოუკიდებლად მიიღოს ახალი ცოდნა, გაეცნოს სხვადსხვა თემებს, ამოცანებს და განივითაროს უნარები.

ჩვენი კვლევების შედეგად სასწავლო პროცესში მნიშვნელობა ენიჭება პრობლემის გადაწყვეტას ჯგუფურ მუშაობის დროს, რაც საშუალებას იძლევა დროის გარკვეულ მომენტში მოსწავლეებმა ერთობლივად იმსჯელონ, შეაჯერონ

ერთმანეთის აზრები და გარკვეული დასკვნები გამოიტანონ მოცემულ დავალებაზე. როცა ჯგუფური მუშაობა შეჯიბრობითობის ხასიათს ატარებს მაშინ მათი წარმატება დამოკიდებულია ჯგუფის თითოეულ წევრის პასუხისმგებობაზე და ჯგუფებში მოსწავლეთა შერჩევის წესზე.

თავი II
მათემატიკაში ამოცანების ამოხსნის სწავლების პრობლემები და დიდაქტიკური საფუძვლები.

2.1. მათემატიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მათემატიკა ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, რომელიც ეფუძნება აბსტრაგირებას, დედუქციურ მსჯელობას და სიმბოლურ ლოგიკას. ზოგჯერ მათემატიკას აღწერენ როგორც მეცნიერებას რიცხვების, გეომეტრიული ფიგურების და გარდაქმნების შესახებ. უფრო ფორმალური თვალთახედვით მათემატიკა სწავლობს აქსიომატურად განმარტებულ აბსტრაქტულ მათემატიკურ სტრუქტურებს.

მათემატიკის საწვლებაში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც მეცნიერულ კვლევათა პროდუქტი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სწავლების ხარისხსა და განათლების მომავალს. ამით საფუძველი ეყრება სამყაროს განვითარებისა და მასთან ადამიანის ადაპტაციის პირობებს. საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად ხდება მისი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებას და ინტეგრაციას საინფორმაციო საზოგადოებასთან. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, უნარებისა და სწავლის სურვილის ფორმირებას.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვისებრივად შეცვალოს სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები. საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა მკვეთრად აჩქარებს სწავლების პროცესს და ამაღლებს მის ხარისხს, ახდენს სასწავლო დროის ეკონომიას. საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები, ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების არსებულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებულის ტრანსფორმაცია, მართვის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდებისა და მიზნის მიღწევის გზათა ძიება.

2.2. პრობლემურ-მოდულური დიდაქტიკის საფუძველზე მათემატიკური ცოდნის შეთვისების კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მნიშვნელოვანია ელექტრონული სწავლების დიდაქტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება, რაც არის სპეციალისტების ფართო სპექტრის ერთობლივი კვლევის საგანი. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ პედაგოგებმა, მეთოდისტებმა, ფსიქოლოგებმა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებმა, რომელთა კვლევისა და მონაცემთა შეჯერების შედეგად ჩამოყალიბდება ელექტრონული სწავლების ერთიანი სტანდარტები.

ყოველდღიურად იზრდება სწავლებაში ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და დისტანციური სწავლების როლი. სასწავლო კურსებისა და სახელმძღვანელოების შექმნა და ორგანიზაცია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მეტად რთულ ტექნოლოგიურ და მეთოდურ ამოცანას წარმოადგენს.

ელექტრონული სახელმძღვანელო წარმოადგენს კომპლექსური მნიშვნელობის სასწავლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების დიდაქტიკური პროცესის უწყვეტობასა და სისრულეს, გვაწვდის თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ახდენს მათემატიკურ და იმიტაციურ მოდელირებას და მიღებული ცოდნის კონტროლს, აქვს აგრეთვე საინფორმაციო – საძიებო ფუნქციაც. ელექტრონული სახელმძღვანელო შინაარსობრივად უნდა მოიცავდეს თემატურად დასრულებულ და სტრუქტურულად დალაგებულ სასწავლო მასალას. ელექტრონული სასწავლო – მეთოდური კომპლექსები მარტივი ფორმით უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელი სწავლებისათვის საჭირო სრული სასწავლო მასალის, მათ შორის პრაქტიკული და ტესტური დავალებების მსწავლელისათვის მიწოდებას.

თავი III
მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმები და მოდელები.

3.1 მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ალგორითმები და მათი ჩაწერის მეთოდები. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმამ ძირფესვიანად შეცვალა საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საგანთა სწავლების თემატიკა, ხარისხი და მოთხოვნები.

განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების სწავლების სფეროზე. დღეისათვის სკოლის მათემატიკის საწავლო პროგრამებში შეტანილია ისეთი მათემატიკური თემები, რომელებსაც რეფორმამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ესენია: ნაშთთა თეორია, გრაფთა თეორია, ალბათობის თეორია და ალგორითმები. აღნიშნული თემები საინტერესოა, მაგრამ რთულია სასწავლებლად, რადგან მათემატიკის მასწავლებელთა დიდ ნაწილის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში არ უსწავლიათ და დღესაც უჭირთ მისი შესწავლა და შემდეგ გადაცემა. აღნიშნული თემებიდან ჩვენ შემოგთავაზებთ ალგორითმებს და ნაშთა თეორიის ,,ახარისხების" საკითხს, რომელიც სასწავლო სახელმძღვანელოებში არ არის სათანადოდ განხილული და სწავლის პერიოდში იწვევს გარკვეულ უკმარისობის შეგრძნებას.

სიტყვა ალგორითმი მეთორმეტე საუკუნეში წარმოიშვა და მას შემდეგ მთელს მსოფლიოში გავრცელდა, იგი არის მოქმედებათა ერთობლიობის ზუსტი და სრული აღწერა, რომელთა მკაცრად განსაზღვრულ თანმიმდევრობით შესრულებას მივყევართ დასმული ამოცანის ამოხსნამდე.

ალგორითმის ცნებას უკავშირდებოდა მხოლოდ არითმეტიკული ოპერაციების { +, -, *, / } შესრულების წესს, ხოლო შემდეგ მისმა გაფართოვებამ, ამ სიტყვის გამოყენების მნიშვნელობა გაზარდა და იგი სხვადასხვა სახის ამოცანების ამოხსნის საჭირო მნიშვნელობის ერთობლიობის - გავრცელებული ინსტრუქციაა.

რეალურ სამყაროში ადამიანებს ხშირად უხდებათ სხვადასხვა ალგორითმების გამოყენება, შექმნა და შესრულება. მაგალითად ქუჩაზე გადასვლის დროს, ტანსაცმლის ჩაცმისას და ა.შ.

ალგორითმი შეიძლება შეასრულოს ადამიანმა, ცხოველმა, ფრინველმა და კომპიუტერმა. მთავარია მისი გამოყენების დროს მკაცრად იქნას დაცული ცალკეული პუნქტების შესრულების თანმიმდევრობა.

ალგორითმის ჩაწერის დროს შეიძლება გამოყენებელი იქნეს შემდეგი ხერხები: ალგორითმის ჩაწერა ბუნებრივ ენაზე, ცხრილის, ფორმულის, გრაფიკის, ბლოკ-სქემის სახით და ალგორითმულ ენაზე (Pascal, C, C++, C#, Java და ა.შ.).

3.2 მათემატიკის ამოცანების ამოხსნის სწავლების პრობლემების გადაჭრა ალგორითმების საშუალებით.

ინტერნეტის გამოყენების პროცესში მომხმარებელი ხშირად იღებს და გადასცემს ინფორმაციას. ამიტომ დღეისათვის ინფორმაციის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაციის დაცვასა და გასაიდუმლოებას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად დამწერლობა წარმოადგენდა გასაიდუმლოებულ - კრიპტოგრაფიულ სისტემას, რადგან მას ფლობდნენ მხოლოდ რჩეული ადამიანები.

კრიპტოგრაფიის ისტორია პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ ეტაპად:

1. გულუბრყვილო კრიპტოგრაფია;
2. ფორმალური კრიპტოგრაფია;
3. მეცნიერული კრიპტოგრაფია;
4. კომპიუტერული კრიპტოგრაფია.

სასკოლო მათემატიკის სახელმძღვანელოებში განხილულია ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნერბის და მხედართმთავრის - **იულიუს კეისარის** გულუბრყვილო კრიპტოგრაფია, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო პრიმიტიული მეთოდები, რაც ნიშნავდა ინფორმაციის დაშიფრვისათვის გამოყენებული შიფრების დაყვანას მონო-ალფავიტურ გადანაცვლებაზე. პირველი ასეთი მაგალითი დაფიქსირებული მეთოდისა არის ცეზარის შიფრი, რომლის მიხედვით მოცემული ტექსტის ყოველ ასოს ცვლიდნენ სხვა ასოთი, რომელიც მოცემული ასოსაგან დაშორებული იყო ფიქსირებული რაოდენობის პოზიციით - ანბანის ყოველ სიმბოლოს შეესაბამებოდა გარკვეული რიგითი ნომერი – რიცხვი. მაგალითად, ანბანში მისი ადგილის შესაბამისი ნომერი. ტექსტის ყოველ სიმბოლოს ემატება ფიქსირებული რიცხვი, რომელსაც იგივე ანბანში შეესაბამება გარკვეული სიმბოლო.

აქვე აღწერილია თანამედროვე კრიპტოგრაფიის ის მიღწევები და ალგორითმები, რომლითაც სარგებლობენ კერძო და სახელმწიფო დაწესებულებები.

3.3 **მათემატიკის სწავლების კომპიუტერული მოდელი.** მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს მოსწავლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით გარე სამყაროს მოვლენების შეცნობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. მათემატიკური მოდელირების ქვეშ იგულისხმება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შესწავლილი კანონზომიერებანი და კავშირები. ეს შეიძლება იყოს მათემატიკური ამოცანების ალგორითმები პროგრამა-კოდის ფორმით გამოსახული.

მათემატიკური მოდელი ეს არის რეალური ობიექტის, პროცესის ან სისტემის მიახლოებითი წარმოდგენა, მათემატიკური ფორმულებით და ალგორითმებით გამოსახული, რომელებიც ინარჩუნებენ ორიგინალის თვისებებს. ეს მოდელები დაპროგრამირების ენის ალგორითმული კონსტრუქციების დახმარებით აღწერენ მათემატიკური ამოცანების ობიექტის, პროცესის ან სისტემის ძირითად თვისებებს, მათ პარამეტრებს, შიდა და გარე კავშირებს ალგორითმული კოდების საშუალებებით.

მათემატიკური მოდელირება სასკოლო განათლებაში ტექნიკური პროგრესის განუყოფელი ნაწილია, იგი არ უწევს კონკურენციას სხვა საგნის მიამრთულებებს, თუმცა მონაწილეობს ყველა სფეროში მიმდინარე შემოქმედებით კვლევებში.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მათემატიკური და ალგორითმული ცოდნის ჩამოყალიბება, ხელს უწყობს სხვადსხვა სახის უნარ - ჩვევების განვითარებას და ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნის მიღწევას.

მათემატიკაში ალგორითმების თემატიკის სწავლება ზრდის ამოცანების ამოხსნის ვიზუალიზაციას და მოდელირებას, ახდენს თვალსაჩინო-სანიმუშო აზროვნების განვითარებას მათემატიკური ცოდნის ათვისებაში.

მათემატიკის სწავლების პროცესში ამოცანების ამოხსნა - ალგორითმის შედგენა მოსწავლეებს უნვითარებს აზროვნების სხვადსხვა ფუნქციებს, აძლევს ახალ ცოდნას და თვალსაჩინოს ხდის ამოცანის ამოხსნას.

თანამედროვე საინფორმაციო - ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელია თვალსაჩინობა გაიზარდოს და უფრო ეფექტური გახდეს მულტიმედიური სისტემების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი დახმარება გაუწია ტრადიციულ სწავლებას, დაინერგა ელექტრონული სწავლების კომპონენტები, რამაც მოსწავლეთა სასწავლო შემეცნებითი მოტივაცია აამაღლა და გაზრდა მათი ჩართულობის ხარისხი.

კომპიუტერის გამოყენების დროს შესაძლებელია შეიქმნას იმიტაციური მოდელები, რომელთა დახმარებით ხდება მათემატიკური ამოცანების ამოხსნა სპეციალური ალგორითმების შედგენით. ასეთი ალგორითმები აკეთებენ პროცესების ან სისტემების შემადგენელი მათემატიკის ამოცანების იმიტაციას, მათი სტრუქტურისა და თანმიმდევრობის შენარჩუნებით. იმიტაციური მოდელი საშუალებას იძლევა პირველადი მონაცემების მიხედვით მივიღოთ ინფორმაცია მათემატიკური ამოცანების ამოხსნის შესახებ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით დროის გარკვეულ მომენტში. შეიძლება ითქვას, რომ იმიტაციური მოდელი არის მათემატიკური ამოცანების ალგორითმული ამოხსნა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც აკეთებს რეალურ იმიტაციას.

მათემატიკური მოდელირების ფართო გამოყნება საშუალებას იძლევა გაფართოვდეს გამოკვლევების საერთო დონე და ჩატარდეს ექსპერიმენტები. მათემატიკური მოდელი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შემეცნების ახალი მეთოდი, რომელიც თავის თავში შეიცავს როგორც თეორიის, ასევე ექსპერიმენტის დადებით მხარეებს.

როგორც ცნობილია ტექნიკური ან მათემატიკური ამოცანა მიიღება პრობლემური სიტუაციის ჩამოყალიბებისა და მისი გადაწყვეტის ძიების პროცესში წინადადებების სახით, პრაქტიკული ან რაიმე თეორიული თვალსაზრისის მიხედვით და შემდეგ ითარგმნება მათემატიკურ ენაზე ამოცანის სახით და შემდეგ ხდება მისი ამოხსნა.

ამოცანის ამოხსნა ორი სახისაა: ბრმა ძიება, როცა უცნობია არჩეული ხერხის ვარგისიანობა და მეორე, როდესაც ცნობილია ამოხსნის გზა.

უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკური მოდელის არსი მდგომარეობს რეალური პროცესების მათემატიკურ იმიტაციაში, რაც კომპიუტერის დახმარებით სრულდება. მას მაშინ მიმართავენ, როდესაც რეალური ექსპერიმენტი ძალზე

შრომატევადი, ძვირად ღირებული ან გარკვეულ რისკთან დაკავშირებული პროცესია.

როგორც ცნობილია პი რიცხვი არის წრეწირის სიგრძის შეფარდება თავისივე დიამეტრთან და იგი მუდმივი სიდიდეა ნებისმიერი წრეწირისათვის, ამიტომ კომპიუტერული ექსპერიმენტის №1 ერთ-ერთ საინტერესო იმიტაციურ მოდელს წარმოადგენს პი რიცხვის გამოთვლა მონტე-კარლოს მეთოდით. რომლის მიხედვით მართკუთხა კორდინატთა სისტემაში (სიბრტყეზე) იღებენ 2X2 კვადრატში ჩახაზულ



R=1 რადიუსის მქონე წრეწირს, რომლის ცენტრი მოთავსებულია M(1,1) წერტილში - კვადრატის დიაგონალების გადაკვეთის წერტილში.

მონტე-კარლოს მეთოდის იდეა ასეთია: შემთხვევით იღებენ N რაოდენობის წერტილს კვადრატის შიგნით, რომლის კორდინატებია (x;y). N_c – ავღნიშნოთ იმ (c=Circle) წერტილების რაოდენობა რომელიც წრეწირის შიგნით მოთავსდება, ანუ $(x-1)^2+(y-1)^2 \le 1$ იმისათვის, რომ წერტილები კვადრატის შიგნით მოთავსდეს აუცილებელია შესრულდეს პირობა $\begin{cases} 0 \le x \le 2 \\ 0 \le y \le 2 \end{cases}$, აქ x და y მიიღება შემთხვევითი რიცხვების გენერაციის ფუნქციის დახმარებით x=2*Random და y=2*Random, რომლებიც ღებულობენ მნიშვნელობებს (0;2) შუალედიდან. ამის შემდეგ დგინდება აღებული წერტილი წრეწილის შიგნით არის მოთავსებული, თუ წრეწირის გარეთ. შემდეგ ითვლიან წრეწირში მოხვედრილ წერტილთა რაოდენობას და შემდეგ ფართობთა შეფარდების პროპორციის მიხედვით $\frac{S_c}{S_s}=\frac{N_c}{N}$, სადაც $S_c=\pi\cdot R^2=\pi\cdot 1=\pi$, ხოლო $S_s=2\cdot 2=4$, ითვლიან პი რიცხვის გამოთვლას $\pi=\frac{4\cdot N_c}{N}$ ფორმულის დახმარებით. რომლის შესაბამის გამოთვლის ალგორითმასა და პროგრამის კოდს ექნება სახე.




```
Program  monte-Karlo;
Uses crt;
 Var      i, n, nc : Longint;
              x, y, p : Real;
     Begin
        Randomize;   nc:=0;
      Write(‘შემოიტანე:  n=’ );
          Readln(n);
            For i:=1 to n do
               Begin
                  x:=2*Random;
                    y:=2*Random;
                      s:= sqr(x-1)+sqr(y-1);
                  If s<=1 Then nc:=nc+1 ;
                End;
          p:=4*nc/n;
      Writeln(‘Pi=’, p:15:13);
End.
```

ამრიგად, კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარების დროს დიდი ყურადღება ექცევა იმიტაციურ მოდელირებას, რაც გულისხმობს მათემატიკური მოდელის და კომპიუტერების შესაძლებლობის ეფექტურ გამოყენებას. კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარებისას მნიშვნელოვანია დაპროგრამირების ენის შერჩევა, რადგან ენა ხშირად ცვლის ამოცანის ამოხსნის ალგორითმის ჩაწერის სტრუქტურას.

ასევე საინტერესო შედეგი მივიღეთ ექსპერიმენტი №2, რომელშიც ასახულია თვლის სიტემები. ადამიანს უხსოვარი დროიდან უხდებოდა თავის გარშემო არსებული საგნების დათვლა. ადამიანები ითვლიდნენ ორობით, სამობით, ხუთობით, შვიდობით, ათობით, თორმეტობით, თექვსმეტობით, ოცობით, სამოცობით და ა.შ. ყოველი თვლის სისტემის წარმოშობას თავისი ისტორიული საფუძველი გააჩნია, მაგალითად, თვლის ათობითი სისტემა დაკავშირებულია ადამიანის ხელებზე განლაგებული თითების რაოდენობაზე. ხშირად მას „ზოოლოგიურ სისტემასაც" უწოდებენ. დღეისათვის განასხვავებენ თვლის პოზიციურ და არა პოზიციურ სისტემებს. თვლის პოზიციური სისტემებია: ორობითი, რვაობითი, თექვსმეტობითი, ათობითი და ა.შ., ხოლო არა პოზიციური სიტემაა რომაული და ეროვნულ ანბანური რიცხვითი სისტემები.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, საჯარო სკოლების მათემატიკის მასწავლებელთან შეხვედრების, კონსულტაციების და გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა 60%-ზე მეტს უჭირს ათობითი რიცხვების გადაყვანა თვლის სხვადსხვა სიტემებში. ამიტომ პედაგოგებისთვის ჩავატარეთ ტრენინგი - ,,რიცხვითი სისტემები და მათი ურთიერთ კავშირი" და სპეციალურად მათვის შევქმენით (2012 წელს) ,,რიცხვითი სისტემების კონვერტორი" რომელიც საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში (ერთ წამში) ათობითი (ან სხვა ფუძიანი) რიცხვების გადაყვანა მოახდინოს ნებისმიერ ფუძის (2, 3, 4, . . . 13, 14, 15, 16) მქონე რიცხვთა სისტემაში. ამ კონვერტორის პროგრამა დაწერილია HTML და Java Script ენებზე, რომელიც საშუალებას იძლევა გაშვებული იქნეს ნებისმიერი ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით.

,,რიცხვითი სისტემების კონვერტორი"-ს აქვს შემდეგი სახე.



ხოლო მის კოდს HTML და Java Script ენაზე შემოკლებული ფორმით აქვს სახე

```
<HTML><HEAD>
<META content="text/html; charset=windows-1251" http-equiv=Content-Type>
<SCRIPT language=JavaScript>
 var hex = new Array("0", "1", "2", "3", "4", "5", "6", "7", "8",
                  "9", "A", "B", "C", "D", "E", "F");
   function CKparseInt(n, r) {
        for (var i = 0; i < n.length; ++i)
           if (n.charAt(i) >= r) {
               alert("Invalid digit");
              return 0;
            }
            if (isNaN(M = parseInt(n, r)))
           alert ("Secdomaa ricxviT simboloSi");
          return M;
         }
 function DecimaltoAnother(A, radix)
    {
      s = "";
       while (A >= radix)
        {
          s += hex[A % radix];
          A = Math.floor(A / radix);
         }
       return transpose(s += hex[A]);
    }
 function transpose(s)
     {
       N = s.length;
        for (i = 0,t = ""; i < N; i++)
        t += s.substring(N-i-1, N-i);
      return t;
     }
  function EvalAny(item, r)
    {
       M = CKparseInt(item.value, r);
        for (var i = 0, MyForm = document.forms[0]; i < MyForm.length; ++i)
       MyForm.elements[i].value = DecimaltoAnother(M,
MyForm.elements[i].name.substr(1,3));
     }
    </SCRIPT> . . .
```

ეს კონვერტორი გაგზავნილი იქნა საჯარო სკოლებში, მასწავლებლების და მოსწავლეების დასახმარებლად.

ექსპერიმენტი №3-ით მოხდა მოხალისე მოსწავლეების და მასწავლებლების ცოდნის შემოწმება ტესტირების დახმარებით, რომელშიც მათემატიკიდან შერჩეული იყო რამდენიმე თემა, მათშორის რიცხვითი სისტემები და ალგორითმები.

მოსწავლებთა ჯგუფი №1

N	მოსწავლის გ.ს.	1	2	3	4	5	6	7	8	სულ ქულა
		2	1	1	1	1	1	1	1	
1	ა	1	0	1	0	0	1	1	0	4
2	ა	0	1	1	0	0	1	1	0	4
3	გ	0	0	1	1	1	1	1	0	5
4	გ	0	0	0	1	1	1	0	1	4
5	ე	1	0	0	1	0	0	0	0	2
6	ე	0	0	0	0	1	1	0	1	3
7	ზ	0	0	1	1	0	0	1	0	3
8	თ	0	0	0	1	1	1	1	0	4
9	ი	1	0	0	0	0	0	1	0	2
10	კ	0	0	0	1	1	1	1	0	4
11	კ	0	0	0	0	1	1	0	0	2
12	კ	0	1	1	1	1	0	0	0	4
ჯგუფის საშუალო										**41**
მოსწრება		3	2	5	7	7	8	7	2	**41**
3,42		0,25	0,17	0,42	0,58	0,58	0,67	0,58	0,17	3,42

მოსწავლეთა ჯგუფიN2

N	მოსწავლის გ.ს.	1	2	3	4	5	6	7	8	სულ ქულა
		2	1	1	1	1	1	1	1	
1	ა	0	0	1	0	0	1	1	0	3
2	ბ	0	0	1	0	0	1	0	0	2
3	გ	1	0	1	1	1	1	0	0	5
4	ე	0	0	0	1	1	1	0	1	4
5	ე	1	0	0	1	0	0	0	0	2
6	ვ	0	0	0	0	1	1	0	1	3
7	ზ	1	0	0	1	0	0	1	0	3
8	თ	0	0	0	1	1	1	1	0	4
9	თ	0	0	0	0	0	0	0	0	0
10	ი	0	0	0	1	1	1	0	0	3
11	ი	1	0	0	0	1	1	0	0	3
12	ტ	0	0	0	1	1	0	0	0	2
ჯგუფის საშუალო										**34**
მოსწრება		4	0	3	7	7	8	3	2	**34**
2,83		0,33	0,00	0,25	0,58	0,58	0,67	0,25	0,17	2,83

ტესტირება ჩატარდა სპეციალური ბილეთბის მიხედვით. ბილეთის განსხვავებული ვარიანტით.
ტესტირება ჩატარდა ოთხი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. შერჩეული იქნა ოთხი განსხვავებული ჯგუფი (2 მოსწავლეები და 2 მასწავლებლების). აქ განვიხილოთ მოსწავლეების ჯგუფები, სადაც პირველ და მეორე ჯგუფში მონაწილეობდა 12-12 მოსწავლე (10-12 კლასებიდან).
პირველ ჯგუფში საშუალო მოსწრება იყო 3,42 ქულა, ხოლო მეორე ჯგუფში 2,83 ქულა. ორივე ჯგუფში მაქსიმალური ქულა იყო 5 ხოლო მინიმალური ნული. თითოეულ მოსწავლეს ტესტირების დროს უნდა მიეღო მაქსიმუმ 9 ქულა სინამდვილეში მიიღეს მაქსიმუმ 5 და მცრე ქულები. ჯგუფების საშუალო მოსწრება იყო 3,42 და 2.83 რაც ძალიან მცირეა.

კომპიუტერული ექსპერიმენტის ზოგად სქემას ასე განიხილავენ:
პრობლემა → ამოცანა → მოდელი → ალგორითმი → პროგრამა (კოდი) → ვიზუალიზაცია →ტესტირება → სასაზღვრო პირობების დადგენა.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო ნაშრომებში

1. გელოვანი, ნ., ოხანაშვილი, მ., ყურაშვილი, ნ., ელიზბარაშვილი, მ., 2012, -23 სექტემბერი, „რიცხვითი სისტემების კონვენტორი“ ნანობაშვილი, ქ., ჩაჩანიძე, გ., (რედ), II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, მოხსენებათა თეზისები, (გვ. 32,33), ბათუმი.
2. ოხანაშვილი, ს., ოხანაშვილი, მ., 2016 წ, 1-3 ოქტომბერი, „ინფორმაცია უსაფრთხო ინტერნეტ სივრცეში“, IV საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებილის განათლება, ნანობაშვილი, ქ., (რედ); ჩაჩანიძე, გ., (რედ), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, (გვ. 144-147), თბილისი.
3. ოხანაშვილი, ს., ოხანაშვილი, მ., 2014 წ. 17-19 ოქტომბერი, „მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმები მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობისთვის“ დალაქიშვილი. გ., (რედ), III საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. მოხსენებათა თეზისები, (გვ. 117) ბათუმი.
4. ოხანაშვილი, მ., ოხანაშვილი, ს., 2012 წ, 21-23 სექტემბერი, „პი რიცხვის მნიშვნელობის გამოთვლა კომპიუტერის დახმარებით“, ნანობაშვილი, ქ., ჩაჩანიძე, გ., (რედ), II საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, მოხსენებათა თეზისები, (გვ. 75-77) ბათუმი.
5. ოხანაშვილი, ს., ოხანაშვილი, მ., 2011წ. 20-22 მაისი, „პრობლემურ-მოდულური დიდაქტიკის საფუძველზე მათემატიკური ცოდნის შეთვისების კომპიუტერული დიაგნოსტიკა“, აკადემიკოს ჩოგოვაძე, გ., (რედ) საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია „მართვის ავტომატიზირებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , (გვ. 189 – 190) თბილისი
6. ოხანაშვილი, ს., ოხანაშვილი, მ., გელოვანი, ნ., 2011 წ. „ნაშთთა თეორიის სწავლება Excel პროგრამის საშუალებით“, სემიკინა, ი., (რედ), საერთაშორისო-

სამეცნიერო კონფერენცია, კომპიუტერული მეცნზიერება, განათლების მენეჯმენტი, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, (გვ. 338 – 343) თბილისი.
7. Okhanashvili, S., Okhanashvili, M., Okhanashvili, IA, –2016, 23-27 May, „REQUIREMENTS IN TEST DESIGN”, XXVII Internatinal Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES (PDMU – 2016) (გვ. 127-128), Tbilisi-Batumi, Georgia.
8. Оханашвили С., Оханашвили М., 2014, „Сложностъ алгоритмов“, Part II - Mathematics and ICT application sphere. New training technologies. (გვ. 34-38), Ганджа.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები და რეკომენდაციები

1. შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში მათემატიკის სწავლების პროგრამები და თემები და ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც საქართველოს მეცნიერების და განათლების სამინისტრო მოითხოვს მათემატიკის სწავლებას სკოლის რეფორმის ფარგლებში.
2. გამოვლენილია მათემატიკის ამოცანების სასწავლო მიზნები, კვლევისა და განვითარების პრობლემები და ის მთავარი მდგენელი, როგორებიცაა სწავლების თანმიმდევრული აგება, მოსწავლის პასუხების ინტელექტუალური ანალიზი და ინტელექტუალური ხელშეწყობა მათემატიკის ამოცანების ამოხსნისას.
3. გაანალიზებულია მათემატიკის სწავლებაში ალგორითმისა და მისი რეალიზების პროგრამული კოდის ძირითადი მეთოდური ფუნქციები და შესაძლებლობა.
4. შესწავლიალია სიტემატურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი ასათვისებელი მასალის ლოგიკური კავშირის განხორციელებისას.
5. ჩამოვაყალიბეთ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმების შედგენის და სწავლების მეთოდები.
6. დავამუშავეთ მატემატიკური ამოცანების ამოხსნის ალგორითმის შედგენის მეთოდი, რომელიც აპრობირებულია მათემატიკის და ინფორმატიკის კურსის სწავლების პროცესში.
7. გაანალიზებულია მათემატიკის სწავლებაში ალგორითმისა და მისი რეალიზების პროგრამული კოდის ძირითადი მეთოდური ფუნქციური შესაძლებლობა.
8. შემუშავებულია ელექტრონული სასწავლო მასალების მომზადების ალგორითმული და პრაქტიკული სავარჯიშოების შედგენის მეთოდური რეკომენდაციები.
9. შემუშავებულია ახალი მიდგომა მათემატიკის ამოცანების ამოხსნის ალგორითმების სწავლებისადმი ვირტუალური გარემოს და მულტიმედია საშუალებების ინტეგრირების კონცეპტუალური მოდელი, რაც გულისხმობს სწავლების ვირტუალურ გარემოს შინაარსობრივ, ორგანიზებულ და ტექნოლოგიური კომპონენტების მჭიდრო ინტეგრირებას კომპიუტერული სისტემის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებთან.
10. ჩატარებულია მათემატიკის სწავლების თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გამოყენების ანალიზი. ნაჩვენებია, რომ ალგორითმის და კომპიუტერული პროგრამების სისტემის გამყენება, როგორც მათემატიკის სწავლებისა და ხარისხის ამაღლების საშუალებას აქვს დიდი პერსპექტივა.

11. დავამუშავეთ მათემატიკის სასწავლო კურსის იმ ამოცანათა ამოხსნის ალგორითმის სწავლების შინაარსობრივი და მეთოდური უზრუნველყოფის კომპლექსი, რომელიც მოიცავს: მეთოდურ რჩევებს მასწავლებლებისათვის. ამოცანათა ამოხსნის ალგორითმის შედგენის ნიმუშებს და მეთოდურ მითითებებს. კომპიუტერულ ალგორითმულ პრაქტიკულ ნიმუშებს და პროგრამულ-კონვერტორებს, რომელიც შესაბამისობაშია მათემატიკის კურსში შეტანილ სხვადასხვა მასალებთან: შევადგინეთ და გავმართეთ კომპიუტერული პროგრამები მათემატიკის სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის რეალიზებისათვის.

Telavi State University of Iakob Gogebashvili

With the right of manuscripts

Mariam Okhanashvili

Formation of Conceptual Models of Computer Techniques for Realizing the Optimal Algorithms for Teaching Mathematics

THESIS SUBMITTED IN PARTIAL FULLMENT OF THE REQUIREMENTS FOR THE ACADEMIC DEGREE OF DOCTOR OF COMPUTER SCIENCE

A B S T R A C T

Telavi

2018

